



**ფინანსური  
აუდიტის  
ანგარიში**



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**„ვაშტიცებ“**

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და  
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალისვილი

*ს. კვიციანი*

19 თებერვალი 2020 წელი

N 26/36

გვ. N 1

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების  
სამსახურის 2019 წლის კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

**შინაარსი**

<b>ძირითადი ნაწილი</b>	<b>ტერმინები და შემოკლებები</b>	2
	<b>ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ</b>	3
<b>დანართები</b>	<b>დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე</b>	4
	<b>1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები</b>	5
	<b>2. სხვა გარემოებები</b>	10
	<b>3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა</b>	14
	<b>კონსოლიდირებული ერთეულები</b>	16
	<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	17

<b>ტერმინები და შემოკლებები</b>	<b>სამსახური/სუს</b> – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.
	<b>სააგენტო</b> – სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.
	<b>ეკონომიკური დეპარტამენტი</b> – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი.
	<b>შსს</b> – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.
	<b>ნაერთი ანგარიშგება</b> – სუს-ის ეკონომიკური დეპარტამენტის (სამსახურის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება) და სააგენტოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.
	<b>სააღრიცხვო ინსტრუქცია</b> – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“.

**ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემას, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

2019 წელს სამსახურის მმართველობის სფეროში შედიოდა სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომლის დაფინანსების წყარო, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, არის საკუთარი და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.<sup>1</sup>

**ცხრილი.** ინფორმაცია სამსახურის 2019 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	%	საკასო ხარჯი
<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პროგრ. კოდი: 20 00)</b>	<b>136 000 000</b>	<b>136 000 000</b>	<b>100</b>	<b>136 293 867<sup>2</sup></b>
ხარჯები	122 630 000	122 673 000	100	122 967 233
<i>მ.შ. შრომის ანაზღაურება</i>	83 000 000	82 579 350	99	82 577 877
არაფინანსური აქტივების ზრდა <sup>3</sup>	13 370 000	13 327 000	100	13 326 633
<b>სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრ. კოდი: 20 01)</b>	<b>119 920 000</b>	<b>115 050 000</b>	<b>96</b>	<b>114 971 067</b>
ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრ. კოდი: 20 02)	16 080 000	20 950 000	130	21 322 800

<sup>1</sup> საკუთარი შემოსავლების მობილიზება ხდება დამკვეთი მხარისთვის სხვადასხვა სახის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების გაწევით. შემოსავლების წყაროს შესაძლოა წარმოადგენდეს გრანტები.

<sup>2</sup> თანხა მოიცავს საკუთარი შემოსავლებით გაწეულ ხარჯებს, 373 957 ლარის ოდენობით.

<sup>3</sup> 3,784 ათასი ლარი სააგენტოს ადმინისტრაციული შენობა, 1,310.8 ათასი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

### პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>4</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აბზაცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების<sup>5</sup> შესაბამისად.

<sup>4</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

<sup>5</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

## 1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### 1.1 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ანგარიშზე ირიცხება 109,032 ლარის ღირებულების აქტივები, მათ შორის:

- 41,451 ლარი ღირებულების საიჯარო დავალიანება,<sup>6</sup> რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით<sup>7</sup> შემცირდა 35,705 ლარით და კომპანიას სამსახურის სასარგებლოდ დაეკისრა 5,745 ლარის გადახდა. ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნული მოვლენა უნდა დაკლასიფიცირდეს მაკორექტირებელ შემდგომ მოვლენად და მოთხოვნის სახით აღრიცხული უნდა იყოს 5,745 ლარი;
- 25,177 ლარის ოდენობის ჯარიმა და პირგასამტეხლო,<sup>8</sup> რასთან დაკავშირებითაც ასევე მიმდინარეობს სასამართლო დავა. აღნიშნული თავის მხრივ აღრიცხული უნდა იყოს საცნობარო მუხლებში პირობით აქტივებად.<sup>9</sup>

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ჯამური ღირებულება გაზრდილია 63,734 ლარით.<sup>10</sup>**

### 1.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სამსახურის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 2,641,768 ლარის მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით. აღნიშნული თანხა მოიცავს ეკონომიკური დეპარტამენტის ბალანსზე აღრიცხულ 1,524,157 ლარის და სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულ 1,117,611 ლარის დანაკლისებს.

ეკონომიკურ დეპარტამენტს ბალანსზე აქტივების სახით აღრიცხული აქვს სამსახურის შექმნამდე<sup>11</sup> წარმოშობილი 736,089 ლარის ოდენობის დანაკლისები, რაც გამოწვეულია შსს-დან, სხვა აქტივებთან ერთად, დანაკლისების შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე გადმოცემით. მათ შორისაა 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად წარმოშობილი 165,160 ლარის ოდენობის დანაკლისი.<sup>12</sup> აღნიშნული აქტივების ამოღების ალბათობა დაბალია, მათი წარმოშობის პირველადი დოკუმენტების არქონისა და ხანდაზმულობის გამო. აქედან გამომდინარე, ასეთი დანაკლისი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

<sup>6</sup> შპს NiArt Vision.

<sup>7</sup> 2020 წლის 20 მარტი.

<sup>8</sup> შპს „მეგა შოპ“.

<sup>9</sup> სააღრიცხვო ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 პუნქტი: „საცნობარო მუხლში „პირობითი აქტივები“ (05) – აღიარდება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას, უფლებების დადგენით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, მოთხოვნები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, მოთხოვნები განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით და სხვა მოთხოვნები“.

<sup>10</sup> აღნიშნული თანხა მოიცავს ისეთ მოთხოვნებსაც, რომლებზეც 2019 წელს უკვე გამოტანილი იყო სასამართლოს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები და დებიტორების მიერ გადახდილია სამსახურის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე (შპს „ნოვატორი“- 1,745 ლარი და შპს „მასტერ სპორტი“ - 1,107 ლარი).

<sup>11</sup> სამსახური შეიქმნა 2015 წლის 1 აგვისტოს.

<sup>12</sup> განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულება.

2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად საწყობებში აღმოჩენილია 82,208 ლარის ღირებულების დაზიანებული/ვადაგასული და გამოუსადეგარი აქტივები. აქედან გამომდინარე საჭიროა მათი რეალურ ღირებულებამდე ჩამოწერა.<sup>13</sup>

**სააგენტოს** დანაკლისები მოიცავს 2015 წელს ხანძრის შედეგად განადგურებულ ქონებას და ამავე წელს შსს-დან, შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე სამსახურისთვის გადაცემულ 114,032 ლარის ღირებულების დანაკლისებს, რომელიც ეკონომიკურმა დეპარტამენტმა გადასცა სააგენტოს 2017 წელს და აღარ აკმაყოფილებს აქტივებად აღრიცხვის კრიტერიუმებს.<sup>14</sup>

ზემოაღნიშნული დანაკლისების ამოღების ალბათობა მცირეა, რადგან სამსახურს არ გააჩნია პირველადი დოკუმენტები, დაუდგენელია დანაკლისების გამომწვევი გარემოებები და პასუხისმგებელი პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარიზაციის მასალები გამოვლენილი დანაკლისების შესახებ, რეაგირებისათვის ეგზავნება სამსახურის გენერალურ ინსპექციას, რეალური შედეგები ამ მხრივ არ ფიქსირდება და ფინანსურ ანგარიშგებაში იზრდება არარეალური აქტივების ჯამური ღირებულება.

ინვენტარიზაციის ჩატარების წესის<sup>15</sup> და აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,<sup>16</sup> ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველი წლის ბოლოს შეაფასონ მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა და ამოღების ალბათობა, რაც სამსახურს არ განუხორციელებია.

***აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება ანგარიშგებაში აღრიცხული 850,121 ლარის ღირებულების სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე.***

### 1.3 ღირებულების გარეშე აღრიცხული აქტივები, ხარჯები და შემოსავლები

სამსახურის კუთვნილი აქტივების ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ღირებულება არ აისახება. მაგალითად, ღირებულების გარეშე ირიცხება რამდენიმე შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვა არაფინანსური აქტივი.

ძალოვან სტრუქტურებს<sup>17</sup> შორის ხშირია სპეციალური დანიშნულების ქონების<sup>18</sup> გადაცემა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ რაოდენობრივად, ღირებულების მითითების გარეშე. 2019 წელს რამდენჯერმე განხორციელდა ქონების ურთიერთგადაცემა, მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვის გზით.

<sup>13</sup> სააღრიცხვო ინსტრუქციის მუხლი 156, პუნქტი 20.

<sup>14</sup> აღივსვის ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>15</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ; მუხლი 1 პუნქტი 9, „ე“ ქვეპუნქტი: ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება.

<sup>16</sup> სააღრიცხვო ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 23.

<sup>17</sup> თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

<sup>18</sup> ძირითადად იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის ქონება.

შედეგად, სამსახურის ბალანსზე აღრიცხულია გარკვეული სახის აქტივები, რომლებიც ხარჯებშიც ღირებულების გარეშე ჩამოიწერება. მაგალითად თავდაცვის სამინისტროდან ღირებულების გარეშე მიღებული სხვადასხვა სახის და რაოდენობის ვაზნები, რომლებიც იხარჯება წვრთნებზე და მხოლოდ რაოდენობრივად ჩამოიწერება, რის გამოც მცირდება ფაქტიური ხარჯის ჯამური ღირებულება.

*შესაბამისად, ანგარიშგებაში სხვადასხვა სახის აქტივები, შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია შემცირებულად, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.*

## 1.4 ძირითადი აქტივები

### 1.4.1 სააგენტოს ძირითადი

#### საშუალებები

სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 13 ერთეული არამატერიალური აქტივი,<sup>19</sup> რომლებიც 2017 წლის ბოლოს შეფასდა 3,010,878 ლარად და მათი გამოყენების პერიოდად განისაზღვრა 20 წელი. სააგენტოს მიერ აღნიშნული აქტივები ამორტიზებულია 10%-ით, ნაცვლად 5%-ისა.<sup>20</sup> შედეგად, კაპიტალის მოხმარების ხარჯი გაზრდილია 150,544 ლარით, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ღირებულება შემცირებულია 451,631 ლარით.

სააგენტოს მიერ არ არის შეფასებული და ბალანსზე აღრიცხული საკუთარი ძალებით შექმნილი ხელფასების დარიცხვის სპეციალური პროგრამა. ამასთან ერთად, სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 16 ერთეული სხვადასხვა სახის არამატერიალური აქტივი (პროგრამები, საიტები და ა.შ.), თითოეულის ღირებულებად დაფიქსირებულია 10 (ათი) ლარი, რაც არა აქტივების რეალური ღირებულება, არამედ ლიცენზირების საფასურია. ცვეთის დარიცხვა წარმოებს მხოლოდ ლიცენზირების საფასურზე. შედეგად, შემცირებულია აქტივების ღირებულება და ცვეთის ხარჯი.

სააგენტოს ერიცხება სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა-მოწყობილობა (სხვადასხვა დანიშნულების სისტემები), აგრეთვე შესაბამისი ლიცენზიები<sup>21</sup> მათი პროგრამული უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული აქტივების საბალანსო ანგარიშების მიხედვით გამიჯვნა, მათთვის ცვეთის ნორმების მიყენება სააღრიცხვო ინსტრუქციის ზუსტი შესაბამისობით<sup>22</sup> პრობლემატურია სპეციფიკური ცოდნის (IT ტექნოლოგიების) არმქონე პირისთვის.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად ორგანიზების მიზნით, ისინი თითოეულ მსგავს საკითხზე კონსულტაციას გადიან შესაბამის სპეციალისტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ბუღალტრული ჩანაწერების გაკეთება, თუმცა აღნიშნული პროცესი ფორმალიზებული არ არის. სააგენტოს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს მსგავსი აქტივების შეფასების, კლასიფიკაციისა და ამორტიზაციის ნორმები.

<sup>19</sup> დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და ა.შ.

<sup>20</sup> აღიხვის ინსტრუქციის მუხლი 188, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>21</sup> შექმნილი ან საკუთარი რესურსებით შექმნილი.

<sup>22</sup> ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერი ინსტრუქციაში არ არის.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კაპიტალის მოხმარების ხარჯი გაზრდილია 150,544 ლარით, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ღირებულება შემცირებულია 451,631 ლარით. აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ მივიღეთ რწმუნება 1,002,614 ლარის ოდენობის არამატერიალურ აქტივების ცვეთის ხარჯის სისრულესა და სისწორეზე, აგრეთვე რთული ტექნოლოგიური სისტემების შემადგენელი კომპონენტების კლასიფიცირების და საბუღალტრო ანგარიშებზე სწორად ასახვის თაობაზე.

#### 1.4.2 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამსახურის ბალანსზე ირიცხება 14,141,106 ლარის ღირებულების სპეციფიკური აქტივები,<sup>23</sup> თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით,<sup>24</sup> ასეთ აქტივებზე ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავე ინსტრუქციის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციამ თვითონ უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმები და შესაბამისი პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

#### 1.5 ხარჯების დროში გამიჯვნა

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, ოპერაციები უნდა აისახოს პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით.<sup>25</sup>

ეკონომიკური დეპარტამენტის 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის მიერ 2018 წელს ჩამოწერილი 322,084 ლარის ღირებულების მარაგები და 6,695 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, რომელთა პირველადი დოკუმენტები ეკონომიკურ დეპარტამენტში გაგზავნილია დაგვიანებით, კერძოდ, 2019 წელს.

სააგენტოს 2018 წლის ინვენტარიზაციის საბოლოო ოქმის დაგვიანებით შედგენის გამო, ინვენტარიზაციის შედეგები შესაბამის ანგარიშგებაში არ ასახულა და აღირიცხა 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, 2018 წელს ინვენტარიზაციით გამოვლინდა, რომ არამატერიალური აქტივები გაორებულიად იყო აღრიცხული, რის გამოც 152,000 ლარის ღირებულების აქტივები არასაოპერაციო ხარჯებთან კორესპონდენციით ჩამოიწერა, ნაცვლად იმისა, რომ წმინდა ღირებულების ანგარიშზე ჩამოწერილიყო.<sup>26</sup>

**შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის 328,779 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო 2019 წლის საქონლისა და მომსახურების და არასაოპერაციო ხარჯები – ჯამურად გაზრდილია 480,779 ლარით.**

<sup>23</sup> მაგალითად, იარაღი, ტყვია-წამალი.

<sup>24</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 3.

<sup>25</sup> აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 9, პუნქტი 11; მუხლი 17, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>26</sup> აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 14, პუნქტი 4, პუნქტი 11.

## 1.6 განმარტებითი შენიშვნები

### შემდგომი მოვლენები

- მომწოდებლისათვის ავანსად გადახდილი თანხების გამო წარმოშობილი მოთხოვნების (1,404,249 ლარი) და კრედიტორული დავალიანების (1,125,891 ლარი) ნაწილის დაფარვა განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, შესაბამისად, აღნიშნული მოვლენა უნდა ასახულიყო განმარტებით შენიშვნებში;<sup>27</sup>
- არის შემთხვევები, როდესაც სამსახურის კუთვნილი ავტომატური ზიანდება ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად და საჭირო ხდება მათი ჩანაცვლება ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე პირის ან სადაზღვევო კომპანიის მხრიდან, შესაბამისი ფასის და მახასიათებლების ავტომატურად. აუდიტის პერიოდში ასეთი აქტივების ჩამოწერა განხორციელებულია N7320 ანგარიშზე,<sup>28</sup> ჯამში – 79,050 ლარის ოდენობით, თუმცა აღნიშნულის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია, რასაც მოითხოვს სააღრიცხვო ინსტრუქცია.<sup>29</sup>

*აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*

<sup>27</sup> აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 11, „ა“ პუნქტი; მუხლი 40, პუნქტი 25.

<sup>28</sup> მორალური ცვეთა და შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები.

<sup>29</sup> სააღრიცხვო ინსტრუქციის 41-ე მუხლის 48-ე პუნქტის შესაბამისად, „ფინანსურ ანგარიშგებას განმარტებით შენიშვნებში უნდა დაერთოს დამატებითი ინფორმაცია ფიზიკური ცვეთის, შემთხვევითი დაზიანების ან მორალური ცვეთის შედეგად აქტივების ღირებულების შემცირებაზე, მირითადი კაპიტალის მოხმარების სახით“.

## 2. სხვა გარემოებები

### 2.1 ზედმეტად გადახდილი თანხები

სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „მომუშავეთა მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე ორგანიზაცია აღრიცხავს თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების სახით ზედმეტად გაცემულ თანხებს. აღსანიშნავია რომ ანგარიშზე რიცხული ნაშთი წლების მანძილზე მზარდია და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40,592 ლარს შეადგენს.

აღნიშნულის მიზეზებია შემდეგი: თანამშრომლების გათავისუფლება გასული თარიღით, ეკონომიკური დეპარტამენტისთვის შესაბამისი ბრძანების დაგვიანებით გაგზავნა ან თანამშრომლების ხელფასის დარიცხვის თარიღის<sup>30</sup> შემდეგ გათავისუფლება, რაც ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი პრობლემაა.

მიუხედავად ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელებული აქტივობებისა, ზედმეტად გაცემული თანხების სრულად დაბრუნება ვერ ხერხდება.

ზემოაღნიშნულის შედეგად, „საშემოსავლო გადასახადის“ ანგარიშზე აკუმულირდება ზედმეტად გადახდილი თანხები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ ანგარიშზე რიცხული ნაშთი 23,773 ლარამდე გაიზარდა.

*ვინაიდან აღნიშნული თანხის (23,773 ლარის) ჩათვლის მექანიზმი არ არსებობს, იგი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.*

### 2.2 შრომითი ხელშეკრულების ნაკლოვანება

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის სახელფასო დანამატის მიცემა შესაძლებელია, თუ ეს უფლებამოსილება გამომდინარეობს ხელშეკრულების პირობებიდან.<sup>31</sup>

2019 წელს სამსახურის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლებისთვის პრემიის და დანამატის მუხლებით ჯამურად გაცემულია 138,755 ლარი,<sup>32</sup> ხელშეკრულებების პირობებით კი მსგავსი უფლებამოსილება განსაზღვრული არ არის.

*შედეგად, წლის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან 138,755 ლარის პრემიისა და დანამატის გადახდის ფაქტი სახელშეკრულებო პირობებს არ შეესაბამება.*

<sup>30</sup> საანგარიშო თვის სრული ხელფასი გაიცემა ამავე თვის 25 რიცხვში.

<sup>31</sup> კანონის მუხლი 16, პუნქტი 2.

<sup>32</sup> ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ - 87,975 ლარი, სააგენტოს მიერ - 50,780 ლარი.

## 2.3 კონტროლის სისუსტეები

### შრომის ანაზღაურება

სამსახურში შრომის ანაზღაურების დარიცხვა წარმოებს ავტომატურად, სპეციალური პროგრამით, სადაც საბუღალტრო სამსახურის თანამშრომელს პირველადი მონაცემები მექანიკურად (ხელით) შეაქვს, რაც შრომის ანაზღაურების დარიცხვის საფუძველია. პროგრამაში ინფორმაციის შეტანის დამოწმება სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ოფიციალურად არ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში არსებობს მექანიკური შეცდომის რისკი, რომელსაც ვერ ფარავს შიდა კონტროლის არსებული მექანიზმები.

დადგენილი არ არის სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ოფიციალური ფორმა,<sup>33</sup> არ არის შექმნილი შიდა კონტროლის დამატებითი მექანიზმები. სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არ მონაწილეობენ თავიანთი თანამშრომლებისათვის ხელფასების დარიცხვის პროცესში, რაც მინიმუმამდე შეამცირებდა გათავისუფლებული თანამშრომლისთვის ან გარეშე პირისთვის ხელფასის დარიცხვის რისკს.

### კვების ხარჯები

სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის და ზოგიერთი კატეგორიის თანამშრომელთა კვება ხორციელდება სამსახურის კუთვნილ კვების ობიექტებში, მომსახურე პერსონალის მიერ მომზადებული საკვებით. 2019 წელს აღნიშნული ობიექტებისათვის სურსათის შესყიდვას და მიწოდებას, საქართველოს მთავრობის განკარგულების<sup>34</sup> საფუძველზე, ახორციელებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კვების პროცესის შესწავლით გამოვლინდა კონტროლის გაუმჯობესების შესაძლებლობა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ უწყებებს შორის წელიწადში ერთხელ მაინც გაფორმდება შედარების აქტები, გაძლიერდება კვების პროცესის კონტროლი და შემცირდება აღნიშნული მიმართულებით არსებული სხვადასხვა რისკი.

<sup>33</sup> სააღრიცხვო ინსტრუქციის, მე-80 მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, „ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

<sup>34</sup> 2018 წლის 26 დეკემბრის N2442 განკარგულება, რომლის მიხედვით, სუს-ის გარკვეულ მოსამსახურეებს საქვაზე, საბარათე (ძირითადად, შსს-ს ობიექტებზე განთავსებულ სუს-ის შესაბამის მოსამსახურეებს) ან მშრალი კვებით უზრუნველყოფდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## აქტივების მართვის ნაკლოვანება

სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ქონება განთავსებულია საქართველოს მასშტაბით და მოიცავს სხვადასხვა სახის სპეციფიკურ აპარატურასა და არამატერიალურ აქტივებს. გარდა ამისა, ეკონომიკური დეპარტამენტიდან მიღებული იმ ქონების პირველადი დოკუმენტები, რომლებიც შსს-დან სუს-ზე იყო გადაცემული, სამსახურში არ მოიპოვება, რადგან ქონების გადმოცემა განხორციელდა მხოლოდ ე.წ. ავიზო შეტყობინებებით.

ქონების ნაწილი 2005 წლამდეა შექმნილი<sup>35</sup> და მათი დოკუმენტაცია არც შსს-ში არსებობს. აღნიშნული გარემოებების გამო, სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ქონების სრულყოფილი (ხარისხიანი) ინვენტარიზაცია რთულია.

ბალანსზე რიცხული აქტივების სირთულისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საინვენტარიზაციო კომისიისა და სამუშაო ჯგუფების სწორად დაკომპლექტებას, მათში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების გათვალისწინებას, თუმცა სააგენტოში ინვენტარიზაციები ტარდება IT სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე.

თანამშრომლის გათავისუფლების შემთხვევაში, მათზე რიცხული აქტივების ინვენტარიზაცია და მოქმედ თანამშრომელზე გადაბარება დოკუმენტურად არ ხდება. შედეგად, ზოგიერთ ყოფილ თანამშრომელზე რიცხული ქონება საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დანაკლისად ფიქსირდება. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული ტიპის აქტივების ნაწილი რეალურად არსებობს, თუმცა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების არარსებობის გამო, კომისია ვერ ახდენდა მათ იდენტიფიცირებას.

მაგალითად, სააგენტოში 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად რამდენიმე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გამოუვლინდა 329 დასახელების 416 ერთეული ქონების დანაკლისი ჯამური საბალანსო ღირებულებით – 366,004 ლარი. აღნიშნული თანხიდან, 360,000 ლარის დანაკლისი ირიცხება 6 ყოფილ თანამშრომელზე.

აუდიტის მიმდინარეობისას სააგენტოში მოძიებული იქნა იმ აქტივების ნაწილი, რომლებიც 2017-2019 წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად დანაკლისად იყო აღიარებული. საკითხის განხილვის მიზნით, სააგენტოში შეიქმნა სპეციალური დროებითი კომისია და სამუშაო ჯგუფი, შესაბამისი IT სპეციალისტების ჩართულობით. კომისიის მიერ დადგინდა, რომ ინვენტარიზაციების შედეგად დანაკლისად დაფიქსირებული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი, რეალურად არსებობს და ექსპლუატაციაშია. სამუშაო ჯგუფმა აქტივები ხელახლა დაათვალიერა, აღწერა და არსებობის რეალურობა დაადასტურა.

<sup>35</sup> ყოფილი უშიშროების სამინისტროს ქონება.

2017-2019 წლებში, სააგენტოში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი იყო 1,013,495 ლარის ღირებულების დანაკლისი, საიდანაც აუდიტის მიმდინარეობისას მოძიებულია 621,012 ლარის დანაკლისად აღიარებული აქტივები, რომლებიც ჩაბარდა შესაბამის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს. სამსახურის განმარტებით, დანაკლისის ნაწილის მოძიებასთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს მუშაობა.

პრობლემატურია ინვენტარიზაციების შედეგებზე დროული რეაგირება, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში წინა წლის დანაკლისები მომდევნო წლის ინვენტარიზაციის მასალებშიც მეორდება.

აქტივების მართვის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ სააგენტოს პროგრამებით უსასყიდლოდ სარგებლობს რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია ისე, რომ არ არის შემუშავებული გარკვეული კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველი, რათა ეს უკანასკნელი გათავისუფლდეს მომსახურების საფასურის გადახდისგან.

#### 2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში ოპერაციების და სხვა მოვლენების აღრიცხვის პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების თანმიმდევრულად გამოყენების წინაპირობაა. სამსახურში არ არის შემუშავებული და დანერგილი სააღრიცხვო ინსტრუქციის მე-4 თავით გათვალისწინებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს მეთოდურ მითითებებს შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ.

#### 2.5 სასამართლო დავები

**სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე თანხების დაკისრებასთან/შემცირებასთან დაკავშირებული მონაცემები აისახება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ. სამსახურის პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, ზოგიერთი შემთხვევა დაკავშირებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პირობებთან და თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიზეზებით არის განპირობებული. შედეგად, საბუღალტრო სამსახურის ჩანაწერებში სათანადოდ არ აისახება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. (იხ. პარაგრაფი 1.1).

მაგალითად, სამსახურის ქონების დაზიანების გამო, 2019-2020 წლებში<sup>36</sup> სასამართლომ ფიზიკური პირებს დააკისრა 13,888 ლარის გადახდა, რაც აღსრულების პროცესშია, ამიტომ აღნიშნული თანხა აღრიცხული უნდა იყოს როგორც აქტივები.

**შედეგად, ანგარიშგებაში აქტივები, კერძოდ მოთხოვნები, შემცირებულია 13,888 ლარით.**

<sup>36</sup> ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე.

### 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია

არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვადინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციას შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**აუდიტორები**

**ხელმოწერა**

თემურ ჩილინდრიშვილი  
მთავარი აუდიტორი

თამუნა ბერუაშვილი  
უფროსი აუდიტორი  
(ჯგუფის უფროსი)

მიხეილ ზაგრაშვილი  
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

თ. ბერუაშვილი

მ. ზაგრაშვილი



**კონსოლიდირებული  
ერთეულები**

2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

- ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი;
- ) სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

## საკონტაქტო ინფორმაცია

<b>ანგარიშის ავტორები:</b>	თემურ ჩილინდრიშვილი - <a href="mailto:tchilindrishvili@sao.ge">tchilindrishvili@sao.ge</a> თამუნა ბერუაშვილი - <a href="mailto:tberuashvili@sao.ge">tberuashvili@sao.ge</a> მიხეილ ზავრაშვილი - <a href="mailto:mzavrashvili@sao.ge">mzavrashvili@sao.ge</a>
<b>ვებგვერდი და სოციალური მედია:</b>	<a href="https://sao.ge/">https://sao.ge/</a> <a href="https://budgetmonitor.ge/ka">https://budgetmonitor.ge/ka</a> <a href="http://blog.sao.ge/">http://blog.sao.ge/</a> <a href="http://www.sai.ge/main/">http://www.sai.ge/main/</a> <a href="https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/">https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/</a> <a href="https://www.youtube.com/user/saogeorgia">https://www.youtube.com/user/saogeorgia</a> <a href="https://www.facebook.com/www.sao.ge">https://www.facebook.com/www.sao.ge</a>
<b>ცხელი ხაზი:</b>	(+995 32) 243 81 81
<b>ელექტრონული ფოსტა:</b>	<a href="mailto:sao@sao.ge">sao@sao.ge</a>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**